# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა.—ორშაბათი, 16 ივლისი 1900 წ. № 1183

**გაზეთის ფასი:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.

ტელეფონი № 372.

მღვდელი ლუკა მათეს მე, ქრისტინე დავითის ასული, ნატალია, ელენე, სერგი, არკადი და ლუკა ბახტაძენი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაცვალებულის

**ილია ლუკას ძის ბახტაძის**

გვამის დაკრძალვა დანიშნულია ხუთშაბათს, 20 ივლისს, დილის 10 საათზედ, დაბა ხონში. პანაშვიდი ყოველ-დღე, საღამოს 7 საათზედ.

(რ.—4)

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

### 15 ივლისი

**პეტერბურგი.** პოლკოვნიკ შვერინის რაზმმა, რომელიც ბლაგოვეშჩენსკის გარნიზონის მისაშველებლად მიდიოდა, 13 ივლისს დასწვა მოხო, სადგურ იგნაშინოს პირდაპირ. ჯარი და მცხოვრებნი გაიქცნენ. მოხოში დატოვებულია ჩვენი დარაჯები.

**ვაშინგტონი.** ამერიკის კონსული შანხაიში დეპეშით იტყობინება, რომ იუნანში ხელ-ახლად მოხდა არეულობაო.

**შანხაი,** 13 ივლისი. ლიხუნჩანგი აცხადებს, რომ უცხოეთის ელჩები ამ ჟამად იმყოფებიან ტიანცზინის გზაზე და ტიანცზინში ჩავლენ კვირასაო. ლიხუნჩანგმა სთქვა, რომ პრინცი ტუანი მოჰკლესო. „დიდი მუშტი“ გაიყო ორ დასად. ერთ მხარეს ჰსურს ტახტიდან ჩამოაგდოს მანჯურიის დინასტია და აიყვანოს მინის დინასტია, მეორე კი მომხრეა ტუანისა. საშინელი ბრძოლის დროს გალავნის აღმოსავლეთ კარებთან ტუანის მომხრენი დამარცხდნენ. თვითონ ტუანიც დაიღუპა.

**შანხაი.** ინგლისელ ბაპტისტების მისიის წევრი დეპეშით იტყობინება ხინანფუდან, რომ შენსიში ქრისტიანები მთლად გასწყვიტეს. მოჰკლეს აგრეთვე ხუთი უცხოელიც. შველა აუცილებლად საჭიროა. გენერალი გეზი წავიდა ტაკუში.

**ლერიბე.** ორასმა ბურმა 12 ივლისს ფიკსბურგში დაჰყარა იარაღი და დამორჩილდა მტერს.

**კოპენჰაგენი.** პრინც ქრისტიანის მეუღლეს ვაჟი ეყოლა.

**ჰონკონგი.** ჩინელების გამოსაცდელად, თუ რამდენად მართალს ამბობენ, როცა ირწმუნებიან ელჩები უვნებლად არიანო, იტალიის კონსულმა სთხოვა კანტონის მეფის მოადგილეს — იქონიოს მიწერ-მოწერა იტალიის ელჩთან პეკინში და ჩამოართვას მას პასუხი ერთ კითხვაზე, რომელსაც გაიგებს მხოლოდ ელჩი და კონსული. მეფის მოადგილემ უარი განაცხადა ამაზე, რადგანაც ყველა ცნობები პეკინიდან საიდუმლოთ მოდის შანდუნის გუბერნატორის საშუალებითო.

**ლონდონი.** ცნობა მოვიდა კაპშტადტიდან 13 ივლისს, ვითომც დევეტი აპირებს იარაღის დაყრას იმ პირობით კი, რომ მის ჯარს ნება მიეცეს ოჯახებში თავისუფლად დაბრუნებისა. რობერტსმა უარი სთქვა ამ პირობაზედ და მოითხოვა სრული დამორჩილება.

**[illegible]** რობერტსის ეპეშა. ფრენჩი და გეტტონი მტერს კვალში მისდევენ. 12 ივლისს პირველი გადავიდა მდ. ოლიფანტზე და დაინახა მადმებურგი და აგრეთვე მტრის ჯარი, რომელიც არეულ-დარეული მიდიოდა რკინის გზის ჩრდილოეთით. რკინის გზაზე რამდენიმე მილის მანძილზე დგანან პოეთზკები და ცხენოსანი რაზმი. ამას იქით მტრის დევნა შეუძლებელი და იყო, რადგანაც რაზმის დანარჩენი ნაწილი იმყოფეაოდა მდ. ოლივანტის დასავლეთით. გენსერმა დაიჭირა ფურიესბურგი, სადაც მან ნახა შტეინის ცოლი და ბევრი ნგლისელი ტყვე. ბროდვუდი უთვალთვალებს ქრისტანა დევეტს, რომელმაც რამდენიმე მაღალი გორა დაიჭირა რეიცბურგის ახლო, ვაალიდან სამხრეთისაკენ, შვიდი მილის სიშორეზე. დევეტის უმცროსმა ძმამ დაჰყარა იარაღი.

**კონსტანტინეპოლი.** სულთანის ირადე ბრძანებს ნახევრად დაკლებულ იქმნას იმ ოფიციალური და კერძო დეპეშების ტარიფი, რომელთაც უცხოელი ჯარის კაცნი ჰგზავნიან ჩინეთიდან ოსმალეთზე ევროპაში.

### 16 ივლისი

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანება: საომარ ფეხზე დაყენებულ მე-4, მე-5, მე-7 და მე-8 ციმბირის ყაზახთა ჯარების პოლკებისაგან შესდგეს დივიზია და ეწოდოს სახელად—ციმბირის ყაზახთა დივიზია. დივიზიის შტაბი—ომსკში. საომარ ფეხზე დაყენებულ მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 ზაბაიკალის ყაზახთა ჯარის ქვეითა ბატალიონებისაგან შესდგეს ბრიგადა და ეწოდოს სახელად ზაბაიკალის ყაზახთა ჯარის ქვეითა ბრიგადა. შტაბი ჩიტა.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** ოფიციალურად გაიხსნა ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობა. ჯერ ცოტა ვაჭრები არიან მოსულნი; საქონელი ნელ-ნელა ემატება ბაზარს.

**ბელგრადი.** გუშინ ოფიციალური ნიშნობა იყო გადახდილი მეფისა დედოფლის სახლში, წესს ასრულებდა, მიტროპოლიტის თანადასწრებით, იმ სამსწყსოს მღვდელი, სადაც დედოფალი სცხოვრობს. ნიშნობას დაესწრნენ მეფის და დედოფლის ნათესავები, კარის კაცნი, მინისტრები მეუღლებითურთ, ნესტეროვიჩი, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე რისტიჩი და დიპლომატიური კორპუსი. მთელი დღე მოდიოდა სხვა და სხვა მხრიდან მოლოცვა და დეპუტაციები. გუშინ მეფემ მიიღო 300 მასწავლებელი, დღეს სტუდენტების დეპუტაცია. საღამოთი მიულოცეს ქალაქის წარმომადგენლებმა და წარჩინებულებმა, ვექილებმა, პროფესორებმა და ვაჭრებმა. ქალაქის საბჭოს წევრის ივკოვიჩის სიტყვაზედ მეფემ პასუხად სთქვა, რომ არას დროს ბელგრადის მცხოვრებთ არ მიუძღვნიათ მისთვის უფრო სასიამოვნო წამს საღამო, ვიდრე დღეს, როდესაც დაკანონებულ იქმნა საეკკლესიო წესით მუდმივი კავშირი მისი იმ არსებასთან, რომელიც მას უყვარს მთელის თავის არსებით. მეფემ განაცხადა, რომ მეუღლის ამორჩევაში იგი დაემორჩილა გულის თქმას, რათა სიყვარული ყოფილიყოს მეფილს სახლობის ბედნიერებისსაფუძვლად. ქვეყანამაც და მანაც (მეფემ) კარგად იციან გამოცდილებით, თუ რა გავლენა აქვს მთელ ქვეყანაზე, როცა მეფის სახლში უსიამოვნება ჰსუფევს. აქამდისინ სერბიის მეფეების კერძო ცხოვრებას დიდი გავლენა ჰქონდა ქვეყნის პოლიტიკაზე, ამის შემდეგ ეს აღარ უნდა იყოს. პოლიტიკას დაეთმოს თავისი გზა, მას. მეფეს, ჰსურს ჰქონდეს მყუდრო ოჯახი, რომ შეეძლოს მთელი თავისი ძალ-ღონე შესწიროს თავის ქვეყანას.

**ბრიუსელი.** ბელგიის კონსული შანჰაიში იტყობინება, შენიდან დეპეშა მოვიდაო, რომ პოსტინგფუში ყველა მისსიონერები დახოცესო და მხოლოდ ბელგიელი მისსიონერები დასავლეთ მანჯურიაში გადარჩნენ ცოცხლებიო. შენი უმატებსო, რომ თუ ევროპიელთა ჯარები პეკინისაკენ წავლენ, მთავრობა, უეჭველია, ხოინგაუფში გადავაო.

**ვაშინგტონი.** ამერიკის კონსული ჩიფუში იტყობინება დეპეშით 13 ივლისს: „დღეს მე გამოვუცხადე შანდუნის გუბერნატორს მოკავშირეთა ადმირალების სურვილი, რომელნიც თხოულობენ მიიღონ პეკინიდან ცნობები თვით ელჩებისაგან. გუბერნატორმა მიპასუხა, დღეს მივიღე იმპერატორისაგან მოწერილობაო, რომელშიაც ნათქვამია, რომ ელჩები უვნებლად არიან და ჩინეთის მთავრო-

ბა მათ საზრდოს აძლევსო; იგი დარწმუნებულია, რომ ელჩები არა-ვითარ შევიწროებას არა ჰგრძნობენ და ითხოვს ყოველივე ეს შევატყობინო ადმირალებს. ხელ მოწერილია იანშიკაი“.

**ვაშინგტონი.** პეკინში მყოფ ამერიკელ კონსულის დეპეშა ყალბია. გარეშე საქმეთა სამინისტროში მოიპოვება საბუთები იმისა, რომ დეპეშა ინშიკაის და შენის დაწერილია.

გამოცხადებულია შემდეგი დეპეშა: „შანხაი, 14 ივლისი. პეკინიდან იტყობინებიან, რომ ელჩები ცოცხლები და უვნებლად არიან. მოკავშირეთა ჯარების პეკინში შესვლა საჭირო არ არის ლიხუნჩანგი.“

**პეტერბურგის ბირჟა 14 ივლისს**

| | მყიდველნი. | გამყიდველნი | გაყიდულნი. |
|---|---|---|---|
| 4% სახელმწიფო რენტა. . . . | — | — | — |
| $4^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ. | — | $100^1/_4$ | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა. . | — | $98^1/_4$ | — |
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.. | — | — | 314 |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.. | — | — | $266^1/_2$ |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა . . . . . | — | — | 204 |
| $3^1/_2$% გირავ. ფურ. იმავე ბანკისი. . | — | — | $90^1/_4$ |
| ტფილ. სადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ.. | — | — | — |
| $4^1/_2$% გირავნობ. ფურცლ. იმავე ბანკისა . . . . | — | — | — |
| ქუთ. სადგ.-მამ. ბანკის 6% გირ. ფურცლ. . . . | — | — | $101^1/_2$ |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა... | — | $98^1/_2$ | — |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. . . | $97^1/_2$ | — | — |
| $4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა .. . . | — | 87 | — |

დრ. რედ. **ალ. ჯაბადარი**

# გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | . | 1 | გ. $8^1/_2$ კ. |
| სუკი . . . . . . | . | › | — 15 კ. |
| › ცხვრისა . . . | . | › | — $8^1/_2$ კ. |
| › ღორისა . . . | . | 1 | — 8 კ. |
| › კამეჩისა › | › | › | — 8 კ. |
| › ღორის ბარკალი სალორეთი . | 1 | › | —10 კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის

ფერი ბეჭედი აზის, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I | ხარ. | 1 | გ. | 5 კ. |
| › › | II | › | › | › | $3^1/_2$ › |
| › › | III | › | › | › | 3 › |
| იგივე თონისა | I | › | › | › | 5 › |
| › › | II | › | › | › | 4 › |
| › › | III | › | › | › | $3^1/_2$ › |
| ლავაში ჟკ. მამ. | I | › | › | › | 6 › |
| › › | II | › | › | › | 4 › |

**ტფილისის ბაზრები:**

გაიყიდა მეიდნებზე: კოკზადი, ხორბალი საუკ. ფუთი. მ. კ. მ. კ.,

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1 | 1 | 30 | 1 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 | — |
| ქერი . . . . . . | 1 | 1 | 1—5 | — |
| სიმინდი . . . . . | 1 | — | 80 | —— |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 | 20 | —— |
| › უფრო მდარე. | 1 | 1 | 10 | —— |
| კომბოსტო. . . . . | 1 | — | 30 | —— |
| კარტოფილი. . . . | 1 | — | 65 | —— |
| ხახვი . . . . . . | 1 | — | 10 | —— |
| თივა . . . . . . | 1 | — | 25 | —— |
| ბზე. . . . . . . . | 1 | — | 28 | —— |

შუშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შუშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 4-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 22 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი, 40 მ. კამეჩი 60 მ. კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მ.

**რუსეთის ბაზრები:**

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხ. | ხარისხ. |
|---|---|
| № 0—9 მ. 25 კ. | № 4—7 › 25 › |
| № 1—8 › 50 › | № 5—7 › — › |
| № 2—8 › — › | № 6—6 › 75 › |
| № 3—7 › 50 › | № 7—6 › 25 › |

სიმინდი (ნოვოროსიისში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ. შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ. „ფშხვნილი „ 4 „ 80 „

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე

**საავადმყოფოები**

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:** ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა,** გორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო,** ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი— ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) გორონცოვის ქუჩა, მექქვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

**მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.**

(მატარებელთა მიმოსვლა განწესრიგებულია პეტერბურგის საათის თანახმად, რომელიც 58 წუთით უკან არის ტფილისის საათზე)

**სწრაფი მატარებელი № 1** ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 11 ს. 19 წ.; ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 41 წ.

**სწრაფი მატარებელი №** 2 ბათუმიდან ტფილისში გამოდის 11 ს. 18 წუთ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 9 ს. 30 წ.

სამოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 11 ს. 29 წ., ტფილისში მოდის საღამოს 5 ს. 34 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 6 ს. 34 წუთ., ბათუმში მიდის დილის 7 ს. 14 წ.

**მატარებელი** № 4 ბათუმიდან ტფილისში გამოდის 7 საათ. 59 წ. საღ., ტფილისში მოდის 8 ს. 42 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 10 ს. 05 წ., ბაქოში მიდის ღამის 5 ს. 16 წ.

**საფოსტო მატარებელი №** 74/75 ტფილისიდან ყარსში გადის საღამოს 9 ს., ყარსში ჩადის 12 ს. 56 წ. დღით.

**საფოსტო მატარებელი №** 76/77 ყარსიდან ტფილისში გამოდის ნაშუადღ. 3 ს. 29 წ., ტფილისში მოდის დილის 7 ს. 15 წ.

**სახალხო მატარებელი № 5** ბაქოდან ტფილისში გამოდის ნაშუად. 4 ს. 01 წ. ტფილისში მოდის 8 ს. 53 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 32 წ., ბათუმში ჩადის ღამის 9 ს. 01 წ.

**სახალხო მატარებელი № 6** ბათუმიდგან ტფილისში გამოდის დილ. 7 ს. 50 წ.; ტფილისში მოდის საღამოს 7 ს. 15 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღამ. 7 ს. 45 წ., ბაქოში ჩადის შუად. 12 ს. 10 წ.

მატარებელი № 7 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 1 ს. 45 წ., ბორჯომში მიდის 6 ს. 50 წ. საღ.

მატარებელი № 8 ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 12 ს. 30 წ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 6 ს. 20 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 4 ს. 10 წ., მეორე—დღის 11 ს. 20 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 26 წ., ფოთში მიდის—პირველი 6 საათ. 19 წ. დილით, მეორე—1 ს. 29 წ. დღ. და მესამე—საღ. 9 ს. 42 წ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის ორი მატარებელი: პირველი—ღამის 12 ს. 52 წ., მეორე—8 ს. 49 წ. საღ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—11 ს. 04 წ. საღ.

სახალხო მატარებელი № 33 რიონიდან ქუთაისს გადის დილის 9 ს.; ქუთაისში მიდის 9 ს. 25 წ.

საგარაკო მატარებელი № 15 ტფილისიდან მცხეთას გადის დილის 7 ს. 19 წ., მცხეთაში მიდის 8 ს.

საგარაკო მატარებელი № 16 მცხეთიდან ტფილისში გამოდის საღ. 9 ს., ტფილისში მოდის საღ. 9 ს. 38 წ.

საგარაკო მატარებელი № 18 გორიდან ტფილისში გამოდის საღ. 6 ს. 46 წ., ტფილისში მოდის 8 ს. 59 წ. საღ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 57 შორაპნიდან ჭიათურაში გადის ღამის 2 ს. 20 წ.. ჭიათურაში მიდის 5 ს. 12 წ. ღამ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 58 ჭიათურიდან შორაპანში გადის დილის 9 ს. 48 წ.; შორაპანში მიდის 12 ს. 40 წ. ღამ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 59 შორაპნიდან გადის დღისით 4 ს.; ჭიათურაში მიდის საღ. 6 ს. 52 წ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 60 ჭიათურიდან შორაპანში გადის 10 ს. 10. წ. საღ.; შორაპანში დი საღამ. 1 ს.

გამომც. გ. გუნია

Дозволено цензурою. Тифлисъ, 15 Іюля 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. განქის დიდი ქუჩა, № 27.